დანართი №2

2017 წლის 19 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ ადგ.საპრ.№1-17 ხელშეკრულებაზე (CMR170134694)

თბილისი **15.09.2017წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის **ალექსანდრე თევდორაძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამაზ შიშინაშვილის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), მიმწიდებლის 2017 წლის 14 სექტემბრის №17/68 წერილისა და 2017 წლის 19 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ადგ.საპრ.№1-17 ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.1 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2017 წლის 19 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ადგ. საპრ.№1-17 ხელშეკრულების (ადგილობრივი მნიშვნელობის მესტიის ცენტრი-აეროპორტი-წრნიაშის საავტომობილო გზის პირველი კილომეტრის, დაახლოებით 800 მეტრიანი სიგრძის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და მის შესაბამისად ტექნიკური დავალების შედგენაზე მომსახურების შესყიდვა) (შემდგომში - ხელშეკრულება) იმ ნაწილს, სადაც მითითებულია მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტები და ანგარიშის ნომერი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ანგარიშის ნომერი GE32TB7987536080100001.“

2. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

3. ეს დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

4. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
ალექსანდრე თევდორაძე

მიმწოდებელი
შპს „პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა“
დირექტორი
თამაზ შიშინაშვილი